№ 95
ოთხშაბათი, 2 მაისი, 1901 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 95
ოთხშაბათი, 2 მაისი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურთა ქარვასლაში.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა 1901 წ.

გამოფენა დაიწყობა ტფილისში 20 აგვისტოს და შემდეგი განყოფილებანი ექმნება:

1, მიწად-მოქმედება.
2, მევენახობა და მეღვინეობა.
3, საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები.
4, დეკორატიული ბაღოსნობა.
5, ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა.
6, ტყის მოვლა-მოშენება.
7, შინაური საქონელი და ფრინველი.
8, მერძეობისა და საქონლის მოვლა-მოშენების ნაწარმოებნი.
9, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.
10, მეთევზეობა და მონადირეობა.
11, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები.
12, შინა და სახელოსნო მრეწველობა.
13, საქარხნო მრეწველობა.
14, სამთო მრეწველობა.
15, საპედაგოგიო საპროფესიონალო განყოფილება.
16, სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება.
17, სამეცნიერო-სამოსწავლო განყოფილება.
18, სამხატვრო განყოფილება.

ბიურო გამოფენისა და კომისარიატის კანცელარია იმყოფება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბარიატინსკის ქუჩაზედ, და ღიაა ყოველ-დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

პირის პირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ კომისარიატის კანცელარიის ბინაზედ. (10 – 6. — 6)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ. და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—16)

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“.

ტფილისის არტისტიულ საზოგადოების დარბაზში 5 მაისს 1901 წელს გამართულ იქმნება

კონცერტი

მ. გ. სარაჯიშვილისა ქ-ნთ გ. ი. მარტინოვისა, ტ. ი. ტერ-სტეფანოვისა და ბ.ბ.-ნთ მ. ტ. ვასილიევისა, ლ. კ. ლიუდვიგოვისა, თავ. ო. ა. ბარათაშვილისა და ს. მგალობლიშვილის მონაწილეობით.

ბილეთები ისყიდება არტისტიულ საზოგადოების თეატრის კასსაში და ნინო ნიკოლოზის ასულ კნეინა ორბელიანისას, ალექსანდრეს ქუჩა, № 6. (3—უ.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ჰ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გელოვგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციებთ—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არმანიტაკი—11—1 დღ გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო კაბინეთი

დოქტორის

ი. იაკ. გოკიელისა,

იღებს **ვენერიულ** (სიფილისი), **საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს.** წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

მიხეილის და ნემენცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემენცთა ქუჩიდგან აქვს.
(100—256—41)

შემოწირულება

„ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

ე. ი. ქავჟანიძისა და ი. ი. გველესიანის სავაჭრო ფირმამ—8 სურათების ჩასასმელი, 3 პაპიროზის ჩასაწყობი, 3 ფულის ქისა, 3 პაწაწა ტოპრაკი, 2 „ჩოტკი“, 10 სარკე, 5 „დუხის“ შუშა, 3 ოდეკალონი, 6 საპონი, 1 ხელსახოცი, 2 საფერფლე, სულ 15 მან. 20 კაპეიკისა.

სოფიო სოლომონის ასულმა კაფოვისამ—საათის ჩასადები ბრინჯაოსი, კალმების დასაწყობი.

თავ. ივანე იოსების ძე ვაჩნაძემ—ორი აბრეშუმის საპერანგე.

ლ. გიგნაძემ—„ბროშკა“.

კნეინა მარიამ ნიკოლოზის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ ერთი სურათი ჩარჩოში, ღირებული 25 მან.

კნეინა ნინო სვიმონის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანის თაოსნობით შეკრებილი:

ს. გ. ალავერდოვისაგან ერთი წყვილი ფეხსაცმელი, ა. ი. ამიროვისაგან 6 პერანგის საყელო, ერთი დუჟინი სხვა და სხვა ვეერი, დოროქნოვისაგას 8 ნაჭერი ტილოს საპერანგე სხვა-და-სხვა ფერისა და ძმ. პაპოვებისაგან—ორი გირვანქა ჩაი.

ახალი ამბავი

⁂ როგორც ქუთაისიდგან დეპეშით გვატყობინებენ, ორშაბათს, 30 აპრილს, ქუთაისის ქალაქის მოურავად აურჩევიათ დავით ლორთქიფანიძე, რომელსაც 38 თეთრი კენჭი ამოსვლია და 14 შავი.

⁂ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამგე-კომიტეტმა 28 აპრილის სხდომაზედ დაადგინა: დაავალოს გამოფენის ყველა განყოფილების წარმომადგენელთ—შეადგინონ ამ განყოფილებათა ხარჯთ-აღრიცხვა და წარუდგინონ გამგე კომიტეტს; გაეგზავნოს 10 საგუბერნიო კომიტეტს თითოს ორას-ორასი მანეთი გამოფენისთვის კოლექციების მოსაგროვებლად და სხვანი. შემდეგი სხდომა გამგე-კომიტეტს 3 მაისს ექმნება.

⁂ ტფილისის საგუბერნიო გამგეობას ამ დღეებში გაუგზავნია სამინისტროსათვის დასამტკიცებლად ტფილისის ელექტრონით განათების პროექტი, „ჰელიოსის“ საზოგადოების მიერ წარდგენილი.

⁂ ხუთშაბათს, 3 მაისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას საღამოს 8 საათზედ სხდომა ექმნება მიმდინარე საქმეების განსახილველად. სხვათა შორის კომისია განიხილავს ქალაქის გამგეობის დადგენილებას ტფილისის მიხეილის სახელობის სასწავლებლის გადაკეთების შესახებ.

⁂ პარასკევს, 4 მაისს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია სამეურნეო სიზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც განხილული იქმნება მოხსენება კომისიისა საბაღოსნო სკოლაში უწესოების გამომწვევ მიზეზების შესახებ.

⁂ 29 აპრილს ქალაქის გამგეობამ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს მთა-წმინდაზედ ფუნიკულერის გამართვის პროექტი.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, ადგილობრივ თავად-აზნაურთა უკანასკნელს კრებაზედ თავ. ს. წერეთელი, თავ. პ. ა. თუმანიშვილი და თავ. თ. ა. დადეშქელიანი წარმომადგენლებად აურჩევიათ საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად გასამართ იუბილეიზე დასასწრებლად.

⁂ ამიერ კავკასიის დედათა ინსტიტუტში უკვე დაიწყო ეგზამენები. 3 ივნისს მოხდება სადღესასწაულო აქტი და მოსწავლე ქალებსაც დაითხოვენ.

ამავე ინსტიტუტში კვირას, 29 აპრილს, გამართულ იქმნა სამუსიკო დილა, რომელსაც დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი მეუღლითურთ, მისი თანაშემწე ა. ა. ფრეზე, მოსწავლეთა მშობლები და სხვანი.

⁂ კავკასიის უმაღლესს მთავრობას შეუწყნარებია ტფილისის საგუბერნიო მთავრობის მიერ აღძრული შუამდგომლობა ს. ფასანაურში მდ. არაგვზედ გადებულ ხიდის შესაკეთებლად საჭირო თანხის გადადების შესახებ.

⁂ 30 აპრილს ქალაქის გამგეობაში მოახდინეს ტირაჟი მე-3 საობლიგაციო სესხისა. ტირაჟში გამოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეს 7 ათას-მანეთიანი და 10 ასმანეთიანი ბილეთები, სულ 8000 მანეთისა.

⁂ შავი ზღვის პირად მოსაშენებელ ადგილების გამოსარკვევად გაგზავნილ იქმნა მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის 4 ტეხნიკოსი.

⁂ ტფილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში, სხვათა შორის, შემდეგმა სწავლა-დამთავრებულმა ქალმა მიიღო ოქროს მედალი — მარიამ შიუკაშვილმა; ვერცხლისა — თამარა ბერეჟანოვმა, ნინო გამრეკელმა, ლიდია მიქელაძემ.

⁂ 29 აპრილს, ღამით, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ რევოლვერი ესროლეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის კონდუქტორთა ბრიგადის უფროსს პსიოლს, როცა იგი თავისს ბინაში (მიხეილის ქუჩა) ვახშმად იჯდა. ტყვია უვნებლად ასცდა პსიოლს.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ს. გეგუთიდგან სწერენ, 22 აპრილს, ამ სოფელში მოსული ქუთაისის სახელოსნო გამგეობის თავმჯდომარე ი. ხოჯაშვილი ხანჯლით დაუჭრია ადგილობრივს თერძს კილაძეს, ცოლის-ძმას ქუთაისის სახელოსნო გამგეობის თავმჯდომარედ ნამყოფის ფ. ხელაძისას, რომლის ადგილზედაც არჩეულ იქმნა ი. ხოჯაშვილი.

⁂ ახალ-ბაიაზეთის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლენი (20) სასწავლებლის გამგის ბ-ნ ბოწკნიძისა, მასწავლებელთა: გომელაურისა, ტერტერიანცისა და მიქელიანცის ხელმძღვანელობით ტფილისში აპირობენ მოსვლას ადგილობრივ ღირს-შესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად.

⁂ როგორც გუმბრიდგან გვატყობინებენ, 29 აპრილს, ღამით, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ბილეთების კასის კარი ჩაუმტვრევიათ და 114 მან. მეუპარავთ.

◆

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

30 აპრილი

ამ დღეს კრება დაიწყო საღამოს $8^1/_4$ საათზედ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დ. ზ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით. წინანდელ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა სარევიზიო კომისიისა და სიღნაღის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლის თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილის მიერ წარდგენილი 2 პროექტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მამულების მართვა-გამგებლობის შესახებ.

თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილმა განუმარტა კრებას თავისის პროექტის შინაარსი და განაცხადა, რომ თავად-აზნაურთა მამულის აწ არსებულ გამგებლობის წეს რიგი ყოველთვის უკანონოდ მიმაჩნდაო. ეს მამული უნდა ჰმართოს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა მაზრის წინამძღოლებთან ერთად, როგორც თავად-აზნაურთა კანონიერმა რწმუნებულებმაო. თავისის აზრის დასამტკიცებლად თავ. ანდრონიკაშვილმა კანონის რამდენიმე მუხლი წაიკითხა. ამ აზრს არ დაეთანხმნენ თავ. ვ. ვაჩნაძე, გ. დ. გაბაშვილი, თავ. დ. გ. ჯორჯაძე, რომელმაც სთქვა, რომ პრაქტიკულად ეგ განუხორციელებელიაო.

თავმჯდომარემ თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა განაცხადა, რომ მაზრის წინამძღოლნი ვალდებულნი არიან თავიანთ მაზრებში იცხოვრონ და ყოველთვის ვერ მოვლენ ტფილისშიო. ხოლო ერთად-ერთ გუბერნიის წინამძღოლისათვის მამულის მართვა-გამგებლობის ყოველ წვრილმანის საქმის შესრულება მართლაც რომ შეუძლებელიაო. საჭიროა ჯერ-ჯერობით ეს კითხვა გადავწყვიტოთ, თავად-აზნაურობას აქვს თუ არა უფლება მამულის ცალკე გამგეობა აირჩიოს. კრებამ ფეხზედ წამოდგომით გადასწყვიტა, რომ აქვს.

შემდეგ შეუდგნენ სარევიზიო კომისიის პროექტის თვითეულ მუხლის განხილვას. თავმჯდომარე კითხულობდა ახალ პროექტს, ხოლო თ. დ. ე. ჩოლოყაშვილი ძველს დებულებას თავად-აზნაურთა მამულის მართვა-გამგებლობისას. პირველი მუხლი დებულებისა შეუცვლელად იქმნა დატოვებული, მეორე მუხლმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია; ზოგი ამბობდა, რომ ძველებურად დარჩესო, ზოგიც იმ აზრისა იყო, რომ მამულის გამგებლად ავირჩიოთ 5 კაცი უკანდიდატოდო, ხოლო ახალის პროექტით უნდა არჩეულიყო სამი კაცი და ერთი კანდიდატი. კრებამ დაადგინა, აირჩიოს 5 კაცი, მათ შორის თავმჯდომარეც, უკანდიდატოდ. მესამე მუხლი კანდიდატს ეხებოდა და განუხილველად იქმნა დატოვებული. ძველებურად დასტოვეს მე 4, 5 და 6 მუხლებიც, ბოლო მე-7 მუხლის შესახებ, რომელშიაც სწერია, რომ გამგეობის წევრები უსასყიდლოდ ასრულებენ თავის თანამდებობასაო; ბევრი ილაპარაკეს ჯამაგირების დანიშვნის შესახებ. ბოლოს თავმჯდომარემ განაცხადა, ეს საგანი მეტად საყურადღებოა და შემდეგისათვის გადავსდოთო. კრება დასრულდა ღამის $12^1/_2$ საათზედ.

◆

ქალაქის საბჭო

—

ორშაბათს, 30 აპრილს, საღამოს 9 საათზედ, შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. ამ სხდომას ჩვეულებრივზედ ცოტა მეტი ხმოსანი დაესწრო. პირველად საბჭომ განიხილა სიაში შეუტანელი საქმე ქალაქის სამხედრო საკრებულოს ეხლანდელ წევრთა მაგიერ, რომელთაც უარი განაცხადეს თანამდებობაზედ, ახალის წევრების არჩევნების შესახებ. საბჭომ შესაძლებლად დაინახა ამ არჩევნების შემდეგ კრებისათვის გადადება.

შემდეგ ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა ხოსროევმა წაიკითხა ტფილისის გუბერნატორის მოწერილობა იმის შესახებ, რომ მთავარ-მართებლის განკარგულებით პასუხის-გებაში იქმნენ მიცემულნი ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი (სასჯ. დებულების მე-411 და 417 მუხ. ძალით), გამგეობის წევრი ე. ე. ხოსროევი (მუხ. 411), და ქალაქის გამგეობის წევრებად ნამყოფნი თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი (411, 417, 339 და 404 მუხ. ძალით), ა. ი. ივანენკო (411, 417 და 404 მუხ. ძ.) და ხ. ა. ვერმიშევი (411, 417 და 404 მ.). ამასთანავე მოწერილობაში ნათქვამია, რომ თ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, საქალაქო დებულების თანახმად, დათხოვნილ იქმნეს ქალაქის ხმოსნის თანამდებობიდგანაო. ამ მოწერილობის წაკითხვის შემდეგ ხმოსნებმა მოითხოვეს წაკითხვა სასჯელთა დებულების აღნიშნულ მუხლებისა იმის გასაგებად, თუ რა დანაშაულობისათვის არიან მიცემულნი პასუხის გებაში ქალაქის მოურავი და გამგეობის წევრნი. წაიკითხეს აგრეთვე გუბერნატორისავე მოწერილობა, გამოძიება დაინიშნოს ქალაქის საბჭოს ხმოსნად ნამყოფის თავ. ნ. თუმანოვის საქმის შესახებ, რომელსაც ბრალად ედება ქალაქის დასაფასებელ უწყებებში სიყალბის ჩადენა. საბჭომ დაადგინა მიღებულ იქმნას მხედველობაში ორივე მოწერილობა. ხმ. ა. ს. ბაზოვმა განაცხადა, მე იმდენად საყურადღებოდ მიმაჩნია თვით-მმართველობისათვის გამგეობის წევრების პასუხის გებაში მიცემა, რომ კარგი იქმნება საბჭომ დღესვე განიხილოს ჩემი წინადადება იმის შესახებ, რომ ამ ზაფხულს ტფილისის სამოსამართლო პალატაში საქმის განხილვის დროს მოწვეულ იქმნას სტენოგრაფი საქმის გარჩევის დროს დაწვრილებით პროცესის აღსანიშნავად. ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ ვერავითარს კამათის ნებას ვერ დავრთავ საბჭოს ამ საქმის გამოო, მე მხოლოდ გაცნობეთ მთავრობის განკარგულება და ვისაც გსურთ რამე განცხადების შემოტანა, წერილობით შემოიტანეთო.

საბჭომ შემდეგ დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება ქალაქის ლომბარდის რევიზიის შესახებ. საბჭომ აგრეთვე დაამტკიცა ქალაქის გამგეობის დადგენილება იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს მაწავლებელ ქალს ფრანცს გამართოს ალექსანდრეს ბაღში პავილიონი ყავისა, რძისა და სხვა არა მაგარ სასმელების გასასყიდად. საიჯარო ფული ყოველ-წლობით ფრანცს გარდახდება 150 მან. იჯარის ვადა 10 წელიწადი იქმნება. დასასრულ, დიდი კამათი გამოიწვია გამგეობის დადგენილებამ იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს ტფილისის მცხოვ. ძმათა არზუმანოვებს გამართონ ციციშვილის აღმართზედ ხალხის ასაყვან-ჩამოსაყვანი მანქანა. დიდს ხანს გასტანა კამათმა; ზოგიერთმა ხმოსნებმა მოითხოვეს შედგენილ იქმნას ხარჯთ-აღრიცხვა და აღინიშნოს ადგილი, თუ სად უნდა იქმნეს გამართული მანქანა; მერე მთელი ეს საქმე დაიბეჭდოს და დაეგზავნოს ხმოსნებს, რომელნიც გაცნობის შემდეგ შეიძლებენ ამ საქმის გამო გამორკვევას. ქალაქის მოურავმა მოინდომა ამ განცხადებისათვის კენჭი ეყარათ, მაგრამ რადგანაც საბჭოში საკმაო რიცხვი ხმოსნებისა არ აღმოჩნდა, საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა გადაიდვა შემდეგის კრებისათვის

◆

წერილი განჯის მხრიდგან.

—

ამ ჟამად მკითხველებს მსურს აგვწერო არეშის მაზრა, რომელიც მეორე საბოქაულო ნაწილს შეადგენს. თვით ამ ნაწილსაც არეში ეწოდება და ესაზღვრავს სამის მხრით მტკვარი, ხოლო მეოთხე მხრით ჯევანშირისა და განჯის სამაზრო ადგილები. საბოქაულოში ითვლება სულ 39 სოფელი და განიყოფება 13 სამამასახლისოდ. ამ 39 სოფელში მცხოვრებნი არიან: სომხები 417 კომლი (ხუთ ცალკე სოფლად სცხოვრობენ) და შეადგენენ 1,417 მამრ. და 1,251 მდედ. სულისაგან; თათრები 2,334 კომლი და შეადგენენ 6,962 მამრ. და 5,959 მდედ. სულისაგან. ამათში კეთილშობილი სცხოვრობს სულ 43 კომლი.

წარსულს წელს ამ 39 სოფელს ხარჯათ ჰქონდა გაწერილი: მთელს გლეხობას სახელმწიფო გადასახადი 19,086 მან. და 74 კაპ., საერო გადასახადი 10,903 მან. და 38 კაპ. და ამასთანავე, რადგანაც თათრებს საზოგადოდ თავიანთ მხრივ ჯარში კაცი არ გაჰყავთ, ამისათვის ესევე 39 სოფ. წლიურად იხდის ფულად 3,513 მან. და 52 კაპ. და ამავე საგნისათვის თვით კეთილშობილნი იხდიან, გარდა საზოგად-მამულო გადასახადისა, 692 მან. 38 კაპ. როგორცა ვხედავთ, სოფლის უთვალავ წვრილმან ხარჯს გარდა, მარტო ეს 39 სოფ. იხდის წელიწადში 34,196 მან. და 2 კაპ.

გადავიდეთ ეხლა მათს ეკონომიურს მდგომარეობაზედ. ზოგიერთა ბეგების გარდა, გლეხთა საშინელს სიღარიბეს კაცი ვერ წარმოიდგენს, რადგანაც, რამდენისამე სოფლის გარდა, რომელთაც აქვთ ცალკე დავასახლებ, იგინი ერთობ მწირს ადგილებზედ არიან დასახლებულნი. მართალია, ადგილ მდებარეობა სულ თვალ-უწვდენელი ვაკეა, მაგრამ ნიადაგი იმდენად ფიცხი და ლამიანია, რომ უწყლოდ მათი მეურნეობა შეუძლებელია. წყალიც საკმაოდ უხვი აქვთ, მხოლოდ შემოდგომა-გაზაფხულობით,

---

ფელეტონი

—

პატარა სიმღერები

(1898—1900 წლ.)

ძირს და ზევით

ძირს ნოტიო, ბნელს სარდაფში
სიცივისგან თრთის პატარა;
თავის ორთქლით ათბობს დედა,
დარჩენია სხვა აღარა;
იქვე, ზევით, ყმაწვილები
ვალსის ხმაზედ ტრიალებენ
და გულს, სიცხით გახურვებულს,
ყინულ-ტკბილით იამებენ!..

დუტუ მეგრელი

◆

მგზავრის წერილები რომიდგან

V

გადავავლოთ თვალი მეორე ნაწილს რომის ცხოვრებისას, რომელიც აღორძინდა ძველ კერპთა რომის დამხობის შემდეგ და რომელმაც თავისს საძირკვლად მოიხმარა ისევ ძველი კულტურა რომისა, ე. ი. გადავავლოთ თვალი რომს ქრისტიანს. ჩვენ ვუწოდებთ ქრისტიანს, რადგან ახალ დრომდე, 1870 წლამდე, ყოველი ძალა და უფლება პაპის ხელში იყო; ეს უკანასკნელი-კი, როგორც მოადგილე პეტრე მოციქულისა, ერთსა და იმავე დროს ითვლებოდა სასულიერო და საერო წეს-წყობილების მოთავედ. il papa re იყო, რაიცა ჰნიშნავს პაპა-მეფეს. თვით რომი იყო მექქა კათოლიკეებისა, საითკენაც მიისწრაფოდნენ მორწმუნენი პაპის თაყვანის საცემად და წმიდა ადგილების სანახავად. იმ დროს კათოლიკეთა სამღვდელოება თავისუფლად ჰგრძნობდა რომში თავს, რადგან იგი იყო მთავარ-მმართველი ამ ქალაქისა, რომელსაც უწოდა სახელად ქალაქი საუკუნითი საუკუნემდე (éternelle), ქალაქი ქალაქებისა, ღმერთი ერებისა, მეფე მსოფლიო და სხვ...

რასაკვირველია, კათოლიკენი ეხლაც მრავლად მიემგზავრებიან რომში სალოცავად, პაპის ლოცვა-კურთხევის მისაღებად, წმიდა ადგილების სანახავად, სადაც პირველნი ქრისტიანნი ტანჯულნი და გმირულად მიცვალებულნი იყვნენ, მხოლოდ დღეს დარჩა მარტო იდეა, თვით-მოქმედება-კი შეიცვალა: რომი ყოველს თავისს ძალასა და ღონეს აღარ ხმარობს ამ მიმსვლელების დასახვედრად და დღესასწაულების გასამართავად, რადგან საერო უფლება პაპის ხელიდგან გამოეცალა და გადავიდა იტალიის მთავრობის ხელში, რომელიც ყოველთვის კამათობას უწევს პაპის და მის გავლენას ასუსტებს. თვით პაპი პიი IX-მ 1870 წელს, უკმაყოფილომ საერთო უფლების დაკარგვით, განაცხადა თავისი თავი თავისუფალ ტყვედ, ჩაიკეტა თავი სასახლეში ანუ ვატიკანში და აღარ ეჩვენა რომს, რადგან ვერ შეეძლო წარმოედგინა პაპი ურომოდ, უჯაროთ, უსამეფო ძალოდ, მარტო მართველად ადამიანის სულისა, მაგალითად, ზნეობრივის მისწრაფებისა, მოთავედ სასულიერო წოდებისა და გამგედ კათოლიკეთა ეკკლესიისა.

პიი IX-ს მოადგილემ, ეხლანდელმა პაპამ ლეონ XIII მ ცოტაოდნად შესცვალა პროგრამა მოქმედებისა და უფრო შერიგების და შეთანხმების გზას დაადგა. ლეონ XIII, გადასული ოთხმოც წელს, მხნე, მუშაკი და ყაირათიანია, სცდილობს სხვა-და-სხვა მთავრობასთან მორიგებით შეაერთოს კათოლიკეთა სამეფო და გაავრცელოს მისი გავლენა ყოველ მსოფლიო კუთხეში, იაპონიაში, ჩინეთში, აზიაში... რათა ამით მოიპოვოს სიმკვიდრე და დამოუკიდებლობა და წილი წაიღოს ეხლანდელ მსოფლიო წესრიგის დადგენის საქმეში.

დღეს ქრისტიანი რომი მოთავსებულია ტიბრის მარჯვენა მხარეს, იქ, სადაც იმყოფება ვატიკანი, ანუ სასახლე პაპისა და ტაძარი წმ. პეტრესი უმთავრესი მოწამე საშუალო საუკუნეებში რომის დიდებისა.

მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში, როდესაც რომი პაპის ხელში იყო, ხელოვნებამ ისეთ უმაღლეს და შეუდარებელ წერტილამდე მიაღწია, რომ ყოველი გამოჩენილი მხატვარი და ხელოვანი ევროპისა რომს ჰხადიდა თავის ქმნილებათა საფუძვლად და ხშირად ჰბაძავდნენ რომის ხელოვნებას თავიანთ ნიჭისა და ეროვნულ თვისებისა-და გვარად.

ამ ხელოვნებამ დაგვიტოვა მრავალი ეკკლესია, რომელთა რიცხვი 400-
ითვლება რომში, ყველა ამ ეკკლე-
სიათაგანში მოიპოვება ხელოვნებ
შესანიშნავი ქმნილება, მაგრამ ჩვ
ყურადღებას მივაქცევთ უმთავრეს
და უპირველეს მათგანს წმ. პეტრ
ტაძარს, რომელიც გამომხატველ
აღმადგენელ საუკუნეების ხელოვნ
ბისა, მაგალითი ხუროთ-მოძღვრ
მშვენიერებისა და შედეგი ბრამან-
ტის, რაფაელის და მიქელ-ანჯელ
გენიოსურ მუშაობისა.

როდესაც ადამიანი შეჰყურებს ა
უზარმაზარ შენობას, რაღაც უ
ნაური საკვირველება ებადება გ
ნების თვალწინ, რა დაუღალ
ვად, რა განუწყვეტელის ბეჯით
ბით მუშაობდა ადამიანის აზრი დ
ხელი. 150 წლის განმავლობაშ
რომლის დროსაც შენდებოდა
მშვენიერი ტაძარი, მრავალი რ
ცხვი ამშენებლებისა და ხელოსნებ
გამოიცვალა, ერთნი რომ იხოც
ბოდნენ, მეორენი მიისწრაფოდნე
ჩაევლოთ ხელი მათის აზრისათ
და განეგრძოთ მისი აშენება თავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულში-კი თუ გვალვები დაიჭირა, ბევრს ადგილას სრულიად უშრებათ და ამათი ყოველგვარი ჭირნახული უფუჭდებათ. არის ჭაობები, პატარ-პატარა ტბები, მაგრამ ესენიც მომეტებულს სიცხეს ვერ იტანენ და შრებიან. უმთავრეს მიზეზად ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ ამ საბოქაულო ნაწილში იშვიათად შეჰხვდება მგზავრი სათიბს ადგილებსა და ისევ ეს არის მიზეზიც, რომ თივას ვერსად ვერ იშოვნით, თუ არა ჭაობს ადგილებში გათიბულს წმინდა ჩალასა, რომელსაც შეუჩვეველი საქონელი ახლოს არ ეკარება.

ადგილობრივნი მცხოვრებნი განსაკუთრებით მისდევენ პურისა, ქერისა, ბრინჯისა და ბამბის თესვას, მხოლოდ ამ უკანასკნელს ისე არ ეტანებიან, როგორც შევხვედრივართ და გვინახავს სხვა მაზრებში. სოფლებს, რომლებიც-კი მტკვრის მოშორებით არიან გაშენებულნი, ტყე ჯაგნარი სრულებით არ მოეპოვებათ და იძულებულნი არიან შეშა-ფიჩხისათვის 20—25 ვერსის მანძილზედ იარონ. გარდა ამისა, მაგრე რიგად არც ცხვრის მოშენებას მისდევენ; სხვილ-ფეხი საქონელი-კი საკმაოდ ჰყავს ყველასა. ცხვრის მოუშენებლობის მიზეზი ის არის, რომ, რადგანაც მცხოვრებნი ზაფხულობით საგარაოდ არსად მიდიან, ამისათვის ცხვარი იქაურს სიცხეს ვერ უძლებს და, თუ ჰყავს ვისმე, ისიც შინ მოსახმარებლად.

თუ ეს ერთი დარგი მეურნეობისა მათში ნაკლებია, სამაგიეროდ დიდი თუ პატარა, შეძლებული თუ შეუძლებელი, ყველა ძლიერ მისდევს აბრეშუმის მოყვანას, რადგანაც მცხოვრებთ ეს უფრო უმჯობეს და შემოსავლიან საგნად დაუნახავთ, ამისათვის განსაკუთრებული ფურცლის ხის სანერგეები აქვთ ყველას თავიანთთვის შემოზღუდული და ისე მშვენივრადაც, რომ სწორედ თვალწარმტაცნი არიან.

მთელს საბოქაულოს მხოლოდ ორი ხევი ჩამოუდის ნუხის მთებიდგან: ალჯიგან-ჩაი და თურგიან-ჩაი, რომლებიც მტკვარს ერთვის; ამ წყალს ინაწილებს მთელი 39 სოფელი მინდვრისა თუ ნახნავების მოსარწყავად, მაგრამ, როგორც ზემოდაცა ვთქვით, სიცხის დროს საკმაოდ კლებულობს და ამის გამო არამც თუ სარწყავად, ბევრს სოფელში სასმელადაც კი აღარა აქვთ წყალი. როგორც კახეთი თავისს ალაზნით, ისე ამ საბოქაულოში მცხოვრებნი ცხვირ-წინ მომდინარე მტკვრით სრულებით ვერა სარგებლობენ, გარდა რამდენისამე სოფლისა.

კარგს შთაბეჭდილებას ახდენენ მოგზაურზედ მხოლოდ შემდეგი სოფლები, რომლებიც მტკვრის ნაპირად არიან გაშენებულნი: ოჯაქი, მინგიჩაური, ქენდექი (განსაკუთრებით სომხები სცხოვრობენ), გაგარლი, მარზუმი, მანჯარკარა ოღლან, ქარხუნ, შუქდურ, ყიმიურ, მოვდუთ, კარადეგინ და აგათ. ეს სოფლები იმითი არიან დაწინაურებულნი დანარჩენ სოფლებთან შედარებით, რომ აქ შეჰხვდებით ყოვლისფრის სრულს სიუხვეს. მიზეზი ამისა გახლავთ ის, რომ სოფლები შემოზღუდულნი არიან მშვენიერის ტყეებითა და, ხომ მოგეხსენებათ, სადაც კი ტყის სიუხვეა, იქ ყველა უხვად არის: მოსავალიც, ბაღა ხიც, საქონელიც, რითაც-კი თავისს თავს მხნე და დაუღალავი მუშა კაცი ბედნიერად ჰრაცხს.

ვაჭრობით დაწინაურებას ამ საბოქაულოში ვერ შეჰხვდებით, რადგანაც შირვეი რომ ეგლახზედ აგრე რიგად შორს არ არიან და თითონ მიაქვთ იქ, თუ მოეპოვებათ რამე გასასყიდად, და მეორე, რომ შინაური ბაზრობა მხოლოდ ორს ადგილას იციან მთელს მაზრაში, შაბათ-კვირაობით აღდაშში და პარასკევობით ხალდანში. ამ მეორე ადგილის ბაზრობას ჩვენ თითონ დავესწრით, მაგრამ სიმართლე გვაიძულებს ვთქვათ, რომ რომელისამე პატარა ეკკლესიის დღეობის დროს გამართულ ბაზრობას არ აღემატება, განსხვავებას ვერა ჰპოვებთ, თუმცა ამ დღით თათრები დიდად ამაყობენ.

ყოველგვარ სხვა მეურნეობასთან ერთად ღვინის მოყვანას დიდის მეცადინეობით მისდევენ მხოლოდ სომხები. მართალია, მამულის დამუშავება კახეთისას მოგაგონებთ, მაგრამ განსხვავება იმითია, რომ სარის მაგიერ უფრო ყარღის (ჩიხს) უდგმენ ვაზსა და, გარდა ამისა, ბარვითა და თოხნით მაგრე რიგად არ აკეთებენ მამულს. ღვინო საზოგადოდ უხვი და კარგიც მოსდით, მაგრამ კახურს ღვინოსთან შედარებით ის ნაკლულევანება აქვს, რომ სპირტს ძრიელ მომეტებულს შეიცავს და სიტკბომჟავეს-კი უფრო ნაკლებს და მეორე, რომ წითელი ღვინო ძრიელ უფერული გამოდის. მიუხედავად ამისა, ვედრო ღვინო 1 მ. 20 კ.—1 მ. 50 კაპ. ისყიდება როგორც ადგილობრივ ერთმანერთში, აგრეთვე გასასყიდადაც მიაქვთ ეგლახში. იქამდის დახელოვნებულნი არიან მევენახეობის მიმდევარი სომხები, რომ არამც თუ მარტო ჭაჭის არაყს ჰხდიან, ჰხდიან აგრეთვე თუთისას, შინდისას, ატმისას, ქლიავისას და სხვა ხეხილისას-კი, რასაც ჩვენში, კახეთში, სრულებით არ მისდევენ, თუმცა მევენახეობით მათთან შედარებით ასე მაღლა ვდგევართ.

რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ამის ნიშნებს-კი მთელს საბოქაულოში დიოგენის ფარნითაც ვერ მიაგნებთ. მთელს ამ 39 სოფელში მხოლოდ ერთი ახლად დაწესებული სამინისტრო სკოლაა (ხალდანში) და ამ სკოლასაც ისეთის უნდობის თვალით შესცქერიან მცხოვრებნი, რომ მთავრობის მოკრძალება არა ჰქონდეთ, სრულიად მოსპობდნენ. მოიარეთ თათრები, დააკვირდით მათს მოქალაქობრივს ცხოვრებას და სრულიად დარწმუნდებით, რომ ადა-მამად-ხანის დრო და ხანა მათში ისევ შეურყევლად ჰსუფევს: წარსულს საუკუნეს მათს ცხოვრებაში სრულიად არ ჩაუხედნია. საკვირველია სწორედ! თუ რომ ყველაფერით შესანიშნავმა ამ მეცხრამეტე საუკუნემ ვერაფერით შესცვალა მათი ცხოვრება და წარმატებისაკენ ფეხი ვერ წაადგმევინათ, რანი უნდა ყოფილიყვნენ მაშინ, როდესაც მათის არსებობის საგანს შეადგენდა მხოლოდ რბევა-აწიოკება და ველური ტაცობა, ან-და განუწყვეტელი ბრძოლა ჩვენთან, მეზობელ ქართველობასთან?

ს. ხალდანიდგან ასე 5—6 ვერსის მანძილზედ მდებარეობს ერთი ადგილი, რომელსაც გეოგ-თაფას უწოდებენ; სოფელს მახლობლად საკმაოდ მოზრდილი ხევი ჩამოუდის. ამ ადგილას სცხოვრობენ ბაქოელი შელკოვნიკოვები, და უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ სხვათათვის არა, თითონ თათრებისათვის მაინც მისაბაძათა და სამაგალითოდა სცხოვრობენ. გაუშენებიათ მშვენიერი ვენახები და უვლიან სწორედ კახურად; გარდა ამისა, ერთის მათგანის, ა. ბ. შელკოვნიკოვის, მოსახლე-კარობა და წისქვილი სწორედ რომ სანახავადა ღირს. წისქვილი ოთხს ოთახისაგან შესდგება და მუშაობს წყლით; ორი თვალი ჰფქვავს ხორბალს, მესამე არჩევ-ასუფთავებს ბრინჯს (ჩალთიკს), მეოთხე სჩეჩავს ბამბასა და ერთს თვალსაც ელექტრონის მანქანა მოჰყავს მოძრაობაში. წარმოიდგინეთ, რომ ერთსა და იმავე დროს არამც თუ სამგვარს საქმეს უკეთებს ეს წისქვილი პატრონს, არამედ ელექტრონით უნათებს როგორც სასახლეს, ისე წისქვილს და ყველა იმ შენობებს, სადაც მოსამსახურენი უდგას.

ვიდრე ხალდანიდგან წასული გეოგ-თაფამდის მიაღწევდეთ, შუა მანძილზედ ჰნახავთ ერთს ძველის-ძველს ნაგზაურს. ამ გზის შესახებ ჩემმა მეგობარმა მოლა ეფენდიმ (რომელსაც დიდს მადლობას ვუძღვნი) მითხრა, რომ ეს ის ძველი ნაგზაურია, რომლითაც თქვენ, გურჯები, თუ ჩვენ დავლიოდით ხოლმე ნუხა-შემახა-ბაქოსაკენ თუ საქართველოსაკენო. სწორედ მოგახსენოთ ამისმა თქმამ უნებურად ჩვენი წარსული მომაგონა და გულში ჩუმად წრფელის გრძნობით შენდობა ვუძღვენ იმ გმირებს, რომელთაც ამ ისტორიულს გზაზედ გაევლ-გამოევლოთ. მართლაც-და შესანიშნავია ეს ნაგზაური ჯერ თავისის სიგანით და მერმე იმითი, რომ აღმოსავლეთისაკენ თვალ მიუწვდენელს მინდორზედ არის გაძაბული და ჩრდილოეთ-დასავლეთით მაღალ ხრიოკს მთებზედ.

ნიკო ველისციხელი

ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ.

მარსელი, 13 (26) აპრილი. რასაკვირველია, არავინ იცის, თუ წელს პარკის მოსავალი როგორი იქნება, მაგრამ საზოგადოდ მოლოდინი დიდი აქვთ. ამიტომ აბრეშუმის პატრონები სცდილობენ ძაფი ხელიდგან მალე გაუშვან. პარკის პატრონებმაც დაჰკარგეს ამ ჟამად ფასების მომატების იმედი და ყველა გაყიდვას ეშურება. მოთხოვნილებაც ხელს უწყობს ლიკვიდაციას, მაგრამ დაბალს ფასებში. ამ აჩქარებულმა გასყიდვამ ისედაც მცირე ფასები კიდევ უფრო ძირს დასწია. პირველის ხარისხის თეთრი ჩვენებური პარკი კილო $7^3/_4$ ფრანკად იყიდება! თუ ეს არაფერზედ დამყარებული დიდი მოსავლის იმედი არ შეირყა, ისე ფასების მომატება შეუძლებელია.

ზოგიერთი ცნობები იტალიის მეაბრეშუმეობიდგან. ამ უკანასკნელის ათის წლის განმავლობაში იტალიაში თითოეულ წელს დაუჯენიათ საშუალო რიცხვით ერთი მილიონი და რვა ათასი კოლოფი (7 მისხ.) თესლი, თითქმის მთლად ყვითელის აბრეშუმის ჯიშისა. 1890 და 1891 წლებში ამ საშუალო რიცხვზედ ორასი ათასი კოლოფით მეტი დაუჯენიათ; შემდეგს წლებში მილიონზედ ასი ათასით ნაკლები, მხოლოდ შარშან მილიონზედ გადუჭარბებიათ ორმოც-და-რვა ათასი კოლოფით. საშუალო მოსავალი თითოეულ შვიდ მისხლიან კოლოფზედ (30 გრამმი) 100—115 გირვანქას არ აღემატება, რაც შეადგენს მთელი წლის მოსავალს ორმოციდგან ორმოც-და-სამ მილიონამდის კილო ნედლს პარკსა (ორ მილიონ ნახევრამდის ფუთს). მთელად იტალიაში ანგარიშობენ სამოც ათასს ძაფის ამოსახვევს ჩარხს. თვითოეული ჩარხი ამოახვევს დაახლოვებით ათასს კილო პარკს (ნედლობის ანგარიშით), თუ მთელი წელიწადი იმუშავა. ამ ანგარიშით მთელს წელიწადს სამუშევრად იტალიის ქარხნებს მოუნდებათ სამოცი მილიონი კილო პარკი, მაშინ როდესაც, როგორც ზევით იყო ნათქვამი, ადგილობრივ მოჰყავთ მხოლოდ ორმოცი-ორმოც-და-სამი მილიონი. დანაკლისს სხვა ქვეყნებიდგან მოსული პარკით ისრულებენ.

აბრეშუმის ჭიის თესლი როგორც საფრანგეთში, იტალიაშიც, ჩვენის ქვეყნის ფასების შედარებით, ერთობ ძვირია: თვითოეული კოლოფი (7 მისხ.) თესლი ღირს 10-დგან 14 ლირამდის, ესე იგი, 3 მან. 50 კაპ.—4 მ. და 20 კ.-მდის. უმეტეს ნაწილად სანაწილოთაც იცემა მოსავლის მერვედად. თუ ვიანგარიშებთ, რომ ერთს კოლოფს თესლს დაახლოვებით ასი გირვანქა პარკი (40 კილო) მოჰყავს, ხოლო გირვანქა ნედლი პარკის ფასს ჩავაგდებთ შვი-

---

ნიჭისა და გვარად; ამ გზით ბოლოს გაკეთდა ეს რომის ხუროთ-მოძღვრული საკვირველება. წმიდა პეტრეს ტაძარი შეიცავს თავისს განსაკუთრებულს ცხოვრებას და თავისი ხალხი ჰყავს, რომელიც შესდგება მლოცველებისა, მოგზაურებისა და მუდმივ შემკეთებელ ხელოსნებისაგან, რომელნიც შიგ სცხოვრობენ და მის ტერასებზედ აშენებენ ბოსტნებსა და პატარა ბაღებს. თვით ადგილი, რომელზედაც აშენებულია ეს ტაძარი, ძველად ნერონის ბაღს შეადგენდა, სადაც აწამებდნენ პირველ ქრისტიანებს და სადაც დამარხული იყო მოციქული პეტრე, რამაც გამოიწვია სურვილი ქრისტიანებისა აეშენებინათ ამ ადგილას ტაძარი ამ მოციქულის სახსოვრად.

1503 წელს, პაპიმ ჟიულ მე-II-მ, რომლის მხნეობასა და მოქმედებასაც ხშირად ადარებენ ნაპოლეონ I-სას, მოიწადინა ამ ადგილას აეგო დიდი ეკკლესია და ამ აზრის განსახორციელებლად მოიწვია ხუროთ მოძღვარი ბრაბანტი; ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც ხელოვნება უმაღლესად იყო განვითარებული რომში. ბრაბანტის სიკვდილის შემდეგ პაპის, პავლე მე III-ს, ბრძანებით, ხუროთ მოძღვრად დანიშნული იყო მიქელანჯელო, რომელმაც 17 წელიწადი იმუშავა ამ ტაძრის ასაშენებლად და ბოლოს ისეთი მარტივი გეგმა დასტოვა, რომლითაც შეეძლო მისს მოადგილეს განეგრძო მუშაობა. უკანასკნელად გამოჩენილმა ხუროთ-მოძღვარმა ბერნანმა დაამთავრა ეს ტაძარი და შექმნა გეგმა იმ სვეტების რიგებისა, რომელნიც ამშვენებენ დღეს მოედანს ამ ტაძრის წინ და, როგორც ამავე ტაძრის ტოტები, ავსებენ ყოველ მხრიდგან ამ უშველებელს ადგილს. დაახლოვებით სიმაღლე ამ ტაძრისა არის 69 საჟ., სიგრძე—92 საჟ., სიგანე—69 საჟ., გუმბათის დიამეტრი—23 საჟ.. ამ გუმბათის თავში იმყოფება ბრინჯაოს ბურთი, რომელზედაც 15 კაცი ეტევა. წინა მხრის დამამშვენებელ სვეტებს აქვს 15 საჟენი სიმაღლე და $1^1/_2$ საჟ. სისქე, ყოველ სვეტზედ დადგმულია ქანდაკება 3 საჟ. სიმაღლისა. თითო კუთხე ამ ტაძრისა ჩვენის ეკკლესიების ტოლა იქმნება. ყველაფერი, კარიდგან დაწყებული ვიდრე ფანჯრებამდე, უზარ-მაზარია, მაგრამ გარეგნად ეს სიდიდე არც-კი სჩანს, რადგანაც შესანიშნავი თანდათანობაა დაცული ყოველს ნაწილში. ერთს საკვირველებას ამ შენობისას შეადგენს მისი განათება; ამგვარ დიდ შენობაში თითქმის არ მოიპოვება გაუნათებელი კუთხე. მზის სხივები ყოველ მხრიდგან შედის და ცეცხლს უკიდებს ფილაქანს.

ეს ტაძარი, რომელშიაც 90,000 კაცი დაეტევა, ყოველთვის ცარიელად ეჩვენება ადამიანს, თუმცა მრავალია რიცხვი დამთვალიერებლებისა და მლოცველებისა, რომელნიც დაკარგულ ჭიანჭველებსავით დაცოცავენ აქა-იქ უგზო-უკვლოდ. ტაძარში შესვლისათანავე წარმოგიდგებათ გრძელი მანძილი, გაყოფილი სიგრძეზედ სვეტებით სამ ნაწილად და გადახურული თაღით, რომელიც მორთულია ოქროს ვარაყითა და სხვა-და-სხვა ქანდაკებანით; ამ გრძელ მანძილის შემდეგ მოსჩანს ოთხი დიდი სვეტი, რომლებზედაც დაბჯენილია გუმბათი; გუმბათის ქვეშ, ქვემო სართულში, იმყოფება საფლავი მოციქულის პეტრესი. საფლავის ზემოდგან გამართულია საკურთხეველი, სადაც წირვის დროს იმყოფება პაპი. ამ საკურთხევლიდგან წმ. პეტრეს საფლავზედ მისდევს ორგულიანი კიბე, რომელსაც სახელად აღსარების კიბე ეწოდება; აქ განუწყვეტლივ ანთია 142 კანდელი. ამ ტაძარშივე იმყოფება მშვენიერი სასაფლავო პაპა პიი VI-სა, გაკეთებული კანოვასმიერ; ამ საფლავის მოდელს, ანუ ნიმუშს შეხვდებით სხვა-და-სხვა ქალაქის ყოველ დიდ მუზეუმში. საზოგადოდ მთელის შენობის მოსაწყობად მრავლად არის ნახმარი მარმარილოს ქვა ყოველის ფერისა, ასე რომ ადამიანს თვალს სჭრის მისი მდიდრული მორთულობა.

ამ შენობის ასაგებად 150 წლის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაიხარჯა. 1693 წელს, როდესაც ჯერ შიგნითი მორთულობა არ იყო დამთავრებული, დახარჯული იყო ასი მილიონი მანეთი, ამ ფულს უნდა დავუმატოთ ღირებულობა მარმარილოსი, ოქროსი, ვარაყისა, მოზაიკისა, ქანდაკებათა და მხატვრობისა, რომელნიც არც-კი არის დაფასებული, რადგანაც უმეტესად შეწირულია. ეხლა ყოველ წელს იხარჯება ამ ტაძრის საჭიროებისათვის 55 ათასი მანეთი. თვით ტაძარში აღსარებას ათქმევინებენ მსურველ მლოცველებს ყოველს ენაზედ, ქართულის გარდა, რადგან აქაურ მოთავეებს სრულიად მივიწყებული აქვთ ქართველების არსებობა. შესაძლებელია ამ მოთავეებმა გაიცნონ ქართველები, როდესაც დაიბეჭდება შრომანი ბ-ნ თამარიშვილისა, რომელმაც რამდენისამე წლის დაუდგრომელ და მედგარ მუშაობის შემდეგ თავის პატარა, მყუდრო ოთახში, როგორც ნამდვილმა ძველებურმა მემატიანემ, შეჰქმნა რვეული რვეულზედ და ნათლად ახსნა რომის დამოკიდებულება საქართველოსთან. ამ რვეულებში მრავალი საბუთია ჩართული, გამოკრებილი ევროპის სხვა-და-სხვა წიგნთსაცავებიდგან.

დიდს მადლობას ვუძღვნით მამა თამარიშვილს თავისის შრომის გაცნობისა და იმ გულწრფელობისათვის, რომლითაც იგი ეგებება ყოველს რომში ჩასულს ქართველს.

გიორგი დეკანოზიშვილი

დი შაურიდგან ორ აბაზამდის, (კილო 3 ლირია, ლირი ფრანკზედ ნაკლებია ნახევარი შაურით. დღევანდელი ფასობით ფრანკი უდრის შვიდს შაურს) თესლის პატრონს პარკის საშუალო მოსავალზე და საშუალო ფასების დროს ოთხიდგან ხუთ მანეთამდის მოუვა შვიდ მისხალ თესლში, ხოლო, ხარჯების გამორიცხვის შემდეგ, სამი მანეთი მაინც.

ნ. წ.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

ინგლისის მეფე ედუარდ მეშვიდე მეტად ძვირფას სიგარებსა სწევს თურმე. იმისთვისა და გერმანიის იმპერატორ ვილჰელმისათვის ჰავანაში განსაკუთრებულად ამზადებენ სიგარებს. თითო პატარა სიგარაში მეფე ედუარდი ორ-ორ მანეთს იხდის. იმპერატორი ვილჰელმი უფრო ხელ-მოჭერილი კაცია: ის 60 კაპეიკიან სიგარასა სწევს.

* * *

გაზეთ „Temps“-ში საყურადღებო სტატისტიკური ცნობებია მუშათა შეთქმულებებისა და მუშაობის აღკვეთის შესახებ 1900 წელს. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, 1900 წელს მუშაობა მუშებს საფრანგეთში სულ 902-ჯერ აღუკვეთიათ. მონაწილეობა მიუღია მუშაობის აღკვეთაში 222,714 მუშას, აქედგან 180,591 მამაკაცი იყო, 29,753 დედაკაცი და 12,370 მოზარდი. ეს მუშები 10,253 დაწესებულებაში მუშაობდნენ. წინა, 1899 წელს მუშაობა აღკვეთეს სულ 740-ჯერ. რაც შეეხება შედეგს, 1900 წელს 205 შემთხვევაში მუშებმა გაიმარჯვეს, 337 შემთხვევაში—სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებმა, ხოლო 360 შემთხვევა კომპრომისით გათავდა, მუშებმა და პატრონებმა ერთმანეთს დაუთმეს და მორიგდნენ.

* * *

ამერიკაში, იქ, სადაც ქალმა ყველაზედ მეტი უფლება მოიპოვა, მოწინააღმდეგეც ქალთა ემანსიპაციას ბევრი ჰყავს. უნივერსიტეტებში ამ ბოლოს დროს მრავალნი არიან წინააღმდეგნი ქალთა უმაღლესის განათლებისა. არსებობს, სხვათა შორის' ამერიკაში „ქალების მტერთა საიდუმლო კავშირი“. აზრად ამ კავშირს ისა აქვს, რომ ქალებს ჰარვარდის უნივერსიტეტის კარები დაუკეტოს და საზოგადოდ ქალთა ემანსიპაციას ებრძოლოს. კავშირის უმრავლესობას ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტები შეადგენენ.

* * *

ამ ბოლოს დროს სახელმწიფონი მეტად დიდ ყურადღებას აქცევენ წყლის ქვეშ მოსიარულე ნავებს. თითქმის ყველა სახელმწიფო სცდილობს ისეთის გემის გამოგონებას, რომელსაც სხვათა შეუმჩნევად წყალქვეშ შეეძლოს სიარული. ეჭვი არ არის, ასეთი გემი ომის დროს დიდ სამსახურს გასწევს. ამბობენ, საფრანგეთისა და შეერთებულ შტატების ფლოტებს უკვე აქვთ ასეთი გემებიო. ამას წინად იტალიაშიაც გამოუცდიათ ერთი ასეთი გემი, ჯუზეპე პინოს მიერ გამოგონილი. პინოს გემი ტორპედოსა ჰგავს, რომელშიაც ორ კაცს შეუძლიან მოთავსება. როგორც ამბობენ, ამ გემს 120 მეტრის სიღრმეზე შეუძლიან წყალში ჩასვლა. ისეა გამართული, რომ კაცს სადაც უნდა, იქ წაიყვანს და საითაც უნდა, იქით მიატრიალებს.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 აპრილი

პეტერბურგი. 30 აპრილს საზღვარ-გარეთიდგან მოვიდნენ დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული და დიდის მთავრის ასული ელენე ვლადიმირის ასული.

რიგა. 29 აპრილს, ღამე, ტულის გზაზედ სრულიად გადაიწვა სამი სახლი და რამდენადმე ორი სახლი. ზარალი დიდია, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული დანამდვილებით. მხოლოდ ნაწილი დამწვარისა იყო დაზღვეული. 30 აპრილს, ღამე, კაიენგოლის გზაზედ ცეცხლი გაუჩნდა მაიმიხისა და დუბროვსკის ხე-ტყის საწყობს.

ასტრახანი. ქალაქის მახლობლად ვოლგაზედ გაჩენილი ცეცხლი ჩააქრეს; ცეცხლი 29 აპრილს ღამე გაჩნდა. დღეს ოფიციალურად გამოარკვიეს, რომ ცეცხლი მაკაროვის ხე-ტყის ნავთ-საყუდელს წაეკიდა. ალი დელვიგის, მოროზოვისა და ჩესნოკოვის ქარვასლებზედ გადავიდა. ცეცხლ-წაკიდებული ნავთი ვოლგას მოედო; დაიწვა მაკაროვის 100,000 მანეთის ხე-ტყე, რომელიც დაზღვეული არ იყო და 200 ათას მანეთის ტყისა და ნავთის ბარჟები. ჰფიქრობენ, რომ ცეცხლი განზრახაა წაკიდებულიო. კაცს არავის შემთხვევია უბედურება.

გროდნო. ბრესტში ცეცხლი ჩააქრეს; დაიწვა ხუთასამდე სახლი, სხვათა შორის, ფოსტა-ტელეგრაფისა და სატუსაღოს შენობანი და გუბერნიის წინამძღოლის კანცელარიის სადგომი. კომიტეტი შესდგა დაზარალებულთა დასახმარებლად.

შანჰაი. 21 აპრილს გამოცემულ იქმნა იმპერატორის ბრძანება, რომელშიაც იმათი სასჯელია აღნიშნული, ვინც ჯუჯოუში მომხდარ ჟლეტაში მიიღო მონაწილეობა. ძიგინის გუბერნატორი ლიუჩჯუდანი და გენერალი პაო დათხოვნილ იქმნენ; პროვინციის ხაზინადარს იუნჯინს გადაუწყვიტეს კატორგაში მუშაობა საფოსტო გზებზედ, კაპიტანს ჯოუსეტს—თავის მოჭრა. ეს სასჯელი იმდენად მსუბუქია, რომ ვერ გამოისყიდის ინგლისის ქვეშევრდომთა ამოჟლეტას, მამაკაცებისა, დედაკაცებისა და ბავშვებისას. შანჰაიში დიდად უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ მთავარნი დამნაშავენი ასცდნენ სასჯელს.

პრეტორია. თუმცა ბურებმა ბევრი მეომარი დაჰკარგეს, იმათის ჯარის რიცხვი 16,500 კაცამდე მაინც ადის. დასავლეთით ბურები ძლიერ რაზმებს ადგენენ; ჯერ კიდევა აქვთ საკმაო ზარბაზნები და სამხედრო მასალა. დევეტი 2000 კაცით ხელახლა შეესია ტრანსვაალს.

აბბაცია. სამხედრო გემი „პსარა“, რომელზედაც საბერძნეთის მეფეა, დღეს დილით ნავთ-სადგურის მახლობლად გამოჩნდა. გუბერნატორი გემით წავიდა და ავსტრიის იმპერატორის სახელით მიესალმა. რუმინიის მეფის ადიუტანტი მიესალმა მეფე გიორგის მეფის კარლოსის მაგიერ.

სტოკჰოლმი. პირველ პალატის უმრავლესობამ შეიწყნარა სამხედრო კანონ პროექტი სეიმის კომისიის რედაქციით; უმცირესობა მთავრობის შეუცვლელ კანონ-პროექტის მომხრე იყო.

1 მაისი.

პეტერბურგი. დღეს მომხდარ სათავად-აზნაურო ბანკის მომგებიან გირავნობის ფურცლების მე-23 ტირაჟში უმთავრესი მოგებანი ჰხვდა შემდეგ ბილეთებს:

ორასი ათასი—3883/27; სამოცდა-თხუთმეტი ათასი—4972/32; ორმოცი ათასი—8087/31; ოცდახუთი ათასი 4370/31; ათი ათასი 9200/8, 4809/43, 14635/33; რვა ათასი—3632/45; 1983/38, 13255/34, 7022/23, 10438/15; ხუთი ათასი—13777/28, 14581/25, 8612/45, 1669/36, 11668/34, 11282/4, 13087/27, 11405/37; ათასი მანეთი—678/13, 15244/37, 9842/44, 375/40, 13063/4, 3102/4, 8465/47, 4756/11, 13927/33, 1924/35, 4424/9, 15016/37, 13042/33, 2960/4, 4982/27, 13177/39, 4645/45, 8422/1, 4403/22, 11894/24.

პეტერბურგი. 10 მაისს უმაღლესის თანადასწრებით პეტერგოფში მოხდება საეკკლესიო პარადი გრენადერთა ლეიბ-გვარდიისა და ულანთა მისის უდიდებულესობის იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობის რაზმისა.

სოფია. ეკონომიის გულისათვის, როგორც ისმის, გაუქმებული იქმნება მრავალი თანამდებობა, სხვათა შორის, ვენისა და პარიჟის სადიპლომატო აგენტებთან არსებული მდივნის თანამდებობანი.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან: „როგორც სხვა-და-სხვა რაზმის უფროსები გვატყობინებენ, იმის შემდეგ, რაც უკანასკნელი დეპეშა იქმნა გამოგზავნილი, მოკლულ იქმნა 8 ბური, 20 დაიჭრა, 132 ტყვედ იქმნა წაყვანილი და 22 დაგვემორჩილა; ხელთ ჩავიგდეთ ერთი ზარბაზანი, 6,400 ტყვია, 150 ურემი და 870 ცხენი“.

ლონდონი. დესსიდენტთა და უნიონისტთა კავშირის ნადიმზედ სალისბიურიმ სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა ის მოულოდნელი გაჭირვებანი, რომელიც ინგლისს შარშან დაატყდა. სალისბიურიმ შემდეგ გაიხსენა დაღვრილი სისხლი და შეაქო ჯარის-კაცთა მამაცობა და გენერალთა ნიჭი. „წარსულის თვალის გადავლებაო,—განაგრძო მინისტრმა,—გვიჩვენებს, რომ ყოველი აზრი უსამართლობის შესახებ იმპერიას არ ეხება; სამხრეთ-აფრიკის ომი გვიჩვენებს, თუ რა ძალ-ღონის პატრონია ინგლისი. მშვიდობიანობის საქმე ეხლა უფრო უზრუნველ-ყოფილია, ვიდრე სხვისის როდისმე; ჩვენ-მიერ შეწირულს მსხვერპლს ის შედეგი მოჰყვა, რომ დღეს დედამიწაზედ არ არის ისეთი სახელმწიფო, რომელმაც არ უწყოდეს, რომ ინგლისის ბრძოლაში გამოწვევა უძლიერეს მტერთან შებმა იქმნება. ომმა იმ მხრივ მოიტანა სარგებლობა, რომ იძულებულ ჰყო ინგლისი ეზრუნა თავისის დაცვისათვის, რაიც დღემდე, შეიძლება, საკმაოდ მოწყობილი არ იყო“. სალისბიურიმ აღნიშნა, რომ ომი შედეგი იყო ბურების დიდის ხნის შეთქმულობისა ინგლისის წინააღმდეგ. ორატორმა მიულოცა ყურის-მგდებელთ, რომ თავის დროზედ არ განხორციელდა ბილლი ირლანდიის მმართველობის შესახებ. ინგლისს რომ ეს ბილლი შეეწყნარებინა, იმისი მოწინააღმდეგე მარტო ბურების რესპუბლიკები კი არა, მეზობელი მთავრობაც კი იქმნებოდაო.

პარიჟი. ვალდეკ-რუსსო სრულიად ჯანმრთელი მოვიდა აქა.—ხმა დადის, ვითომ სამხედრო მინისტრად ნამყოფს ანდრეს ალჟირის გენერალ-გუბერნატორად ჰნიშნავენ.—სამხედრო საზოგადოების ნადიმზედ სამხედრო მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ არც ერთს მთავრობას ჯარისა და ფლოტისათვის იმის ნახევარიც-კი არ გაუკეთებია, რაც რესპუბლიკამ უკანასკნელ 30 წელს გააკეთაო. ლანესანმა განაგრძო: „ჩვენ საუკეთესო საომარი იარაღი და ზარბაზნები გვაქვს; ჩვენ საუცხოვოდ გავამაგრეთ საზღვრები, საკმაო ჯარი გვყავს უხანგრძლივეს ომისათვისაცკი, და, როდესაც 1906 წლის დამლევისათვის ფლოტის პროგრამმის თანახმად, შევსებული იქმნება, უშიშრად შეგვიძლიან დავხვდეთ მერმისში ყოველსავე განსაცდელს“. სიტყვის დასასრულ მინისტრმა სთქვა, რომ ჯარი და ფლოტი მუდამ ერთგულნი იქმნებიან რესპუბლიკისა, რადგანაც რესპუნლიკამ იმათთვის ძალიან ბევრი გააკეთაო.

აბბაცია. რუმინიის მეფემ ინახულა საბერძნეთის მეფე გემ „პსარა“-ზედ.

დურბანი. ქ-ნმა ბოტამ, ევროპაში მიმავალმა, გზად აქ გამოიარა. კიტჩენერმა ნება მისცა ქ-ნს ბოტას კრიუგერი ინახულოს, რათა გავლენა იქონიოს მასზედ ზავის ჩამოსაგდებად.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, უმაღლესად 1899 წლის 28 იანვარს დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის დებულების თანახმად, ტფილისის ქალაქის საბჭო გამოსცემს ქალაქ ტფილისის მესამე სესხის ობლიგაციებს ფას-დარქმევით 800,000 მანეთისას 100 და 1000 მანეთის ღირებულობისა, რომელსაც 5°/₀ შემოაქვს, რომლიდგანაც დაჭერილი იქმნება თანხათა შემოსავლის გარდასახადი. ობლიგაციის მყიდველს შეუძლიან ობლიგაცია მიიღოს თავის სახელობაზედ ანუ უსახელოდ. ობლიგაციების ტირაჟი მოხდება 1901 წლის 1 ლ აგვისტოდგან დაწყებული 25 წლის განმავლობაში ყოველს 6 თვეზედ, ხოლო ტირაჟში გამოსულ ობლიგაციაზედ ფასდადებულ ფულის მიღება შეიძლება ყოველ 3 თვეზედ ტირაჟის შემდეგ. ობლიგაციასა და კუპონებზედ ფულის მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობასა და იმ ადგილებში, რომელნიც დასახელებულ იქმნა გამგეობის მიერ ცალკე განცხადებაში.

ამ ობლიგაციათა ერთის ნაწილის—200 ათას მანეთის—განაღდება საჯარო ხელმოწერით მოხდება შემდეგის პირობებით: 1) ობლიგაციებზედ ხელის მოწერა მიიღება ქ. ტფილისში ქალაქის გამგეობაში, ტფილისის საკომერციო ბანკსა და საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, კვირა-უქმეებს გარდა, 3-დგან 8 მაისამდის, ამ დღითურთ; 2) 100 მანეთიან ფას-დადებულ ობლიგაციაზედ ხელის-მომწერს გარდახდება 91 მან. 50 კაპ.; 3) ხელის-მოწერის დროს ამ თავით ხელის-მომწერმა გირაოსავით უნდა შეიტანოს 10°/ გარდასახადი ფულისა; 4) თუ ობლიგაციის შეძენის მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ 200,000 მან. ობლიგაციაზედ მეტზედ მოაწერეს ხელი, მაშინ ისინი, ვინც 2,000 მანეთის მეტს ობლიგაციებს არ მოინდომებს, სავსებით იქმნება დაკმაყოფილებული, ხოლო 2000 მანეთზედ მეტის ხელის-მომწერთა შორის კი დანარჩენი ობლიგაციები პროპორციონალურად იქმნება განაწილებული, მხოლოდ ისე-კი, რომ თვითვეულს 2000 მანეთისაზედ ნაკლების ობლიგაციები არ მიეცეს. დანარჩენი 90°/₀, ხელის მომწერზედ დარჩენილი, უნდა გარდახდილ იქმნეს არა უგვიანეს 1901 წლის 15 მაისისა და ამ ფულის შეტანისთანავე ობლიგაციებიც მიეცემა. 6) თუ 1901 წლის 15 მაისამდის არ შეიტანა ხელის მომწერმა მასზედ დარჩენილი ფული, იგი ჰკარგავს შეტანილ გირაოს მიღების უფლებას, რომელიც ქალაქის სასარგებლოდ რჩება; 7) შეძენილ ობლიგაციებს სარგებელი ეთვლებათ 1901 წლის პირველ მაისიდგან. (2—ნ.—2).

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გავგზავნებათ. (100—211—54)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го Мая 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.